2024 წლის ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური (30 05)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა.

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 600.0	6 329.1	6 328.8	100%	374.9

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება; საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72-ში მდებარე სსიპ - საქართველოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ბენეფიციართა უზრუნველყოფა თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

ინდიკატორის დასახელება - ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მომართულ კონტინგენტთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 65 166 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 5 284 პაციენტს; განხორციელდა 13 043 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 553 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 18 349 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 11 623 პაციენტი; ჩატარდა 103 999 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 1 126 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 1 289 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 4 694 პირმა; სხვადასხვა

კლინიკებში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 1482 პაციენტს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებული და გაუმჯობესებულია.**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია; 2024 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოხდა მომართვების 100%-ის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 50 952 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 1 124 პაციენტს; განხორციელდა 11 480 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 052 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 10 058 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 9 807 პაციენტი; ჩატარდა 68 698 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 538 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 1 416 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 6 263 პირმა. სხვადასხვა კლინიკაში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 1 519 პაციენტს.